

ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა, ჭიმვარიტი ზედაში¹

დასაწყისი

ჩვენი შორეული წინაპრებისთვის მუსიკა შეადგენდა მათი სულიერი სამყაროს ყველაზე სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ნაწილს და ისევე აუცილებელი იყო მათთვის, როგორც ჰაერი. მუსიკალური ვიბრაციების ჯადოსნური წყობა განაპირობებდა ჩვენი წინაპრების ჰარმონიულ კავშირს მათ სამყაროსთან. ამ ფაქტს ადასტურებს მათ მიერ შექმნილი მუსიკისა და მასთან დაკავშირებული რიტუალების ფუნქცია.

კულტურები სწრაფად ქრებიან, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობენ ისეთები, რომლებსათვისაც მუსიკა მათი არსებობის უმნიშვნელოვანეს და სავალდებულო ნაწილს წარმოადგენს. ოდესღაც ასეთივე რამ დაემართა დასავლურ კულტურასაც, ვინაიდან ჩვენი ჰუმანისტური განვითარების პერიოდში ეს ფაქტი სრულიად მიგვავიწყდა.

მისი სულიერი და კულტურული საწყისებიდან გამომდინარე, მუსიკა მთელს მსოფლიოში იძენს სხვადასხვა ფორმებსა და ფუნქციებს. დასავლურ კულტურაში მისი ფორმაცია და მისი მრავალრიცხოვანი ცვლილებები თავს იყრის ერთ განსაზღვრებაში – მთელი ცივილიზაცია ერთ ღმერთშია. ამ მონოთეიზმმა თან მოიტანა მონატრების საოცრად განვითარებული გრძნობა; ეს არის მონატრება: სრულყოფილებაში ერთიანობისა; წესრიგისა და იერარქიისა და აგრეთვე სილამაზისა, რომელიც მათი განუყოფელი ნაწილია; კეთილშობილებისა, რომელიც აუცილებელია მათ მისაღწევად.

დიდი (მონო)თეისტური სამყარო, რომლის განუყოფელ ნაწილს ოდესღაც მუსიკალური კულტურა წარმოადგენდა, გაჭიმულია ევროპიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე, ახლო აღმოსავლეთამდე და ინდოეთის სუბკონტინენტამდე. ამ ტერიტორიებზე თავმოყრილია სამი უდიდესი მონოთეისტური რელიგია: იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი და ასევე მათი თეისტური წინაპრები. ამ არეალების ტრადიციული მუსიკა შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან შინაარსით, ფორმით/მოხაზულობითა და ჟღერადობით. მაგრამ ის ფაქტი, რომ ყველა მათგანის ძირითადი მოტივაცია არის (ისევე როგორც დასავლეთ ევროპის შემთხვევაში) ან იყო ზეციური სრულყოფილების იმიტაცია, როგორც ეს ასახულია ადამიანის სულში, მათ მუსიკას აძლევს უნიკალურ და ერთიან სახეს. „მოდალური“ არის სიტყვა, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება მუსიკის – როგორც მონოფონიურის ისე პოლიფონიურის, აღნიშვნისა და დახასიათებისათვის.

დასავლური ცივილიზაციის მონოთეიზმიდან ჰუმანიზმისაკენ და საბოლოოდ სეკულარიზმისაკენ (კულტურიდან, სადაც მისი ყველა შემადგენელი ნაწილის ერთიანობა გაცილებით მეტია მის ჯამზე, იგი ჩამოყალიბდა კულტურად, სადაც თითოეული კომპონენტი თავისთავად ქმნის ერთ მთლიანობას) შემობრუნებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ დასავლურ მუსიკას აღარ ესმის თავისი მოდალური საწყისი და აღარ სცნობს თავის კავშირებს იმ კულტურებთან რომელთაგანაც წარმოიშვა. მართალია, გვასწავლიან, რომ ჩვენი მოდალური მუსიკა და მუსიკის-შექმნა გრძელდებოდა ალორძინების ხანის დაწყებამდე, მაგრამ მე-16 საუკუნის მუსიკოსები აღიარებდნენ, რომ მათ უკვე აღარ ესმოდათ წინა თაობების მუსიკა. შესაძლოა ისინი, ჰუმანისტური შეხედ-

უღებებიდან გამომდინარე, გაცილებით უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებული საკუთარი მიღწევებით, ვიდრე მათი წინმორბედების. რა იყო ეს ე.წ. მოდალური მუსიკა და მენტალობა, რაც მათ არ ესმოდათ, და რა კავშირი აქვს მას ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობასთან?

მოდლობა ტონალობის პირისპირ – პოლიფონია ჰომოფონიის პირისპირ

უაღრესად ფართო კონტექსტში სიტყვა „მოდუსი“ ანუ „კილო“ ნიშნავს შესრულების, ქმედების ან არსებობის მანერას. სხვა სიტყვებით, მოდალობა (modality) არის ჩამოყალიბების მთელი პროცესი. ის შეიძლება იყოს განმარტებადი, მაგრამ არასდროს შემეცნებადი. შესაძლებელია მისი ახსნა, მაგრამ შეუძლებელია მისი სრულად გაგება. მუსიკაში ეს ფენომენი შეიძლება განიმარტოს, როგორც პროცესი, რომელშიც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ინტერვალები და რიტმული ჯგუფები წარმოიქმნება და ტრანსფორმირდება კალიდოსკოპურ და ურთიერთდაკავშირებულ ბირთვებად. მათი ფუნქციაა გაფართოება მანძილზე და შემჭიდროება ქმნადობის ყოვლისმომცველი და ძირეული პრინციპის გარშემო: სიხშირე (ტონი), რომლისგანაც ისინი წარმოიქმნებიან. შემოქმედთან შეერთებით კვლავ აღსდგება უნივერსალური ჰარმონია. მოდალურ მუსიკაში მხოლოდ ინტერვალებს აქვთ ფუნქცია, რამდენადაც ისინი კავშირში არიან შემოქმედთან და არა ერთმანეთთან. ამ საფუძვლის გარეშე მათ არ შეუძლიათ არსებობა. აქედან გამომდინარე, მოდალური მუსიკა, თავისი უაღრესად განვითარებული სახით, არსებითად სულიერია. ყველაზე აქტიურ მოდალურ პროცესებში შეიძლება წარმოიქმნას დროებითი მეორადი სიხშირეები, რაც, თავის მხრივ, წარმოქმნის საკუთარ ბირთვებს, ან მიღებული ტერმინოლოგიით – სატელაიტებს. მოძრაობა ნებისმიერ დონეზე წრიულია და არა სწორხაზოვანი. ეს არც ვერტიკალია (ჰარმონია) და არც ჰორიზონტალი (მელოდია). როდესაც ე.წ. მონოფონია გადაიზრდება ე.წ. პოლიფონიაში, ეს არის უბრალოდ ორგანული გაფართოების პროცესი: წრე გარდაიქმნება სპირალად. ამ სისტემაში არც ერთ ელემენტს არ შეუძლია დასრულდეს თავის თავში. სიტყვა სიტყვით ეს არის „Pars Pro Toto“ (ლათ. „ნაწილი მთელის ნაცვლად“). სმენა (ე.ი. ყური) არის შუამავალი, რომლის საშუალებითაც მოდალობა ვრცელდება მთელს სხეულში. წარმოიქმნება ხმოვანება, რომელსაც აღნუსხავს ყური. ჭეშმარიტი მოდალობა შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ ზეპირ ტრადიციაში. თუკი სმენისთვის შესამჩნევი თუნდაც ერთი რგოლი ამოვარდება, წრიული, ან სპირალური ჯაჭვი წყდება და იწყება მოდალობის რღვევის პროცესი. ნებისმიერი ტრადიცია, რომელიც ცდილობს დააფიქსიროს მოდალობის საიდუმლოებები ქალაქზე, სწირავს მათ დასაკარგავად.

ტონალობაში (tone-ality) დასასრულისა და დასაწყისის რეგულარულად დეტერმინირებული და ადვილად ამოსაცნობი წერტილები წინ უსწრებენ უწყვეტად განვითარებად კილოურ პროცესებს. ამ სისტემაში ტონი ინტერვალზე მნიშვნელოვანია, რიტმი – გრძლიობაზე, პოზიცია – მოძრაობაზე, ბგერა – ხმოვანებაზე და მიზანი – საშუალებაზე. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ერთეულები შეიძლება განიხილოს ცალკე. როდესაც ჰომოფონია ეხება მოდალობას, იწვევს მის რღვევას – მოდალური ურთიერთობების ჯაჭვი გარდაიქმნება ტონალური იგივეობების სერიაში, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ურთიერთკავშირში მყოფი ცალკეული ელემენტების მოჩვენებით დამოუკიდებლობას. იერარქიული ურთიერთობების ჯაჭვი, რომელიც მართავს შემოქმედების პროცესს, მთლიანად წყვეტს არსებობას ტონალობაში. ქმნადობა უკავშირდება

არა უზენაესს, არამედ კაცობრიობა აფერხებს მას. ტონალური მუსიკის შესწავლისა და შექმნისათვის წამყვანი გახდა დასავლური ნოტაცია, რომელიც გამოხატავს ნაბიჯს ნაცვლად მოძრაობისა. როგორც ფოტოგრაფიაში, ტონალური ნოტაციის მზერა აფიქსირებს პოზიციას და არა მოძრაობას. დასავლეთში ტონალური ტრანსფორმაცია ასეულ წლებს ითვლის დასრულებული სახის მისაღწევად. არის რამე გასაკვირი იმაში, რომ დამოუკიდებლობის ამ იდეალს ავტომატურად მოყვა ტონალობის სრული რღვევა? ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც შენარჩუნებული იყო ზეპირი ტრადიციები, ტონალიზაციის პროცესი ასე შორს არ წასულა. თუმცა ჩანერის საშუალებებთან დაკავშირებით, რომ აღარაფერი ვთქვათ კომერციულ მოთხოვნილებებზე, ცდუნება ამ სისტემასთან შეგუებისა, ძალზედ დიდია.

ცოცხალ ერთხმიან და მრავალხმიან ტრადიციებში გამოყენებული ძირითადი მოდალური პრინციპები

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრადიციების მუსიკა დეტალებში განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც განპირობებულია ენით, სტილითა და დანიშნულებით, მსოფლიოს რეგიონებში მოდალური პრაქტიკის უმაღლესი დონის შედარებისას გასათვალისწინებელია მათი მეტ-ნაკლები დამოკიდებულება მოდალურ მუსიკალურ (უმთავრესად ვოკალურ) პრინციპებსა და კანონებზე, რომლებიც დიდი ხანია დავიწყებულია დასავლეთში. ეს პრინციპები მდგომარეობს შემდეგში:

1. მთელი ამ რეგიონის რეპერტუარი თაობიდან თაობას ჯერ კიდევ ზეპირად გადაეცემა. მახსოვრობის დასახმარებლად ხშირად გამოიყენება სოლოფეჯირების ზოგიერთი ტიპი, ქიერონომიული (ხელის) სისტემა. ამავე მიზანს ემსახურება ნოტაციაც, რომელიც არის ან კარკასული (დაფუძნებული სიტყვის აქცენტებსა და მარცვლებზე), ან გამოხატავს ზოგადად მელოდიურ მიმოქცევას და არა ცალკეულ ნოტებს. ქართულ საეკლესიო მრავალხმიანობაში სისტემა დაფუძნებულია ქართული ანბანის პირველ რვა ასოზე. პირველი გაფრთხილება: იმისათვის რომ ტრადიცია დარჩეს მოდალური, ის უნდა იყოს ზეპირი.

2. დამასრულებელი წერტილი არის ხმოვანების სინმიინდე და სიმყარე და არა ბგერის სილამაზე. მგალობელი კონცენტრაციას ახდენს ამ ხმოვანების გამოყვანაზე და არა დასკვნითი ბგერით მანიპულაციაზე. ამიტომ, როდესაც სხეულის ხმოვანება სრულ შესაბამისობაშია გარემომცველ სივრცესთან, მომღერალს შეუძლია მხოლოდ ოპტიმალურად იმოქმედოს. ველ-მინდვრები, მასთან ახლოს მთები და მკაცრი ხელითქმნილი ზედაპირი სრულყოფილებაშია მასთან. მოდალური მუსიკის შემსრულებელი გარემო სამყაროში თავს ზედმიწევნით შინაურულად გრძნობს. ხმოვანი ბირთვი იქმნება ცხვირ-ხახისმიერი ბგერებით. ამის შესრულება შესაძლებელია, ვინაიდან პირი არ იღება უფრო ფართოდ, ვიდრე მეტყველებისას. დასავლური ტონალური კონცეფციის კიდევ ერთი სისუსტე – ფართოდ გაღებული პირია. მისგან ხმოვანება იშლება მოშვებულ სხეულში, წარმოქმნის რა ძლიერ, მაგრამ მეტისმეტად დამყოლ, მოქნილ ბგერას, რომელიც ვერ ქმნის წონასწორობას გარემო სამყაროსთან. სწორედ ამიტომ, მშრალ აკუსტიკაში ხმის პროექციის დასავლური კონცეფცია უცხოა მოდალური მუსიკის შემსრულებლისათვის. ცხვირ-ხახისმიერი ბგერების მკაცრ ხმოვანებაში მაღალი ობერტონები მნიშვნელოვნად ძლიერდება. რაც უფრო მაღალია ობერტონი, მით უფრო მტკიცეა ჟღერადობა; რაც უფრო მტკიცეა ჟღერადობა, მით მეტი სიახლოვე იგრძნობა სულთან² (ღმერთთან). მთელი მოდალური შესრულება ორიენტირებულია ობერტონებზე (არადასავ-

ლური ტემბრული იდეალი). ქართული მუსიკა, იქნება ის ერთხმიანი, თუ მრავალხმიანი, აკვნის, თუ შრომის სიმღერები, ან საეკლესიო საგალობლები, სრულიად თავსდება ამ სტრუქტურაში. გაფრთხილება მეორე: ხმოვანება და არა ბგერა არის მთელი მოდალური მუსიკის სანყისი. თუ გინდა შეინარჩუნო მოდალობა, ნუ უსმენ ბგერას. ხმოვანებას მოაქვს ერთობა, ბგერას კი – ინდივიდუალობა და, აქედან გამომდინარე – განცალკევება.

3. მოძრაობის საფუძველს შეიცავენ არა ტონები, არამედ ინტერვალები. თუმცა თითოეულ მოდალურ ტრადიციაში ყალიბდება ინტერვალური ურთიერთობების დამოუკიდებელი სისტემა. ეს ინტერვალები საკმაოდ მოქნილი და ცვალებადია მოცულობის, ელფერისა და ინტენსივობის თვალსაზრისით (ასეთი გაგება სრულიად უცხოა ტონალური მუსიკისთვის, სადაც ყოველ ნოტს აქვს თანაბარი წონა და ფაქტობრივად ყველა ინტერვალი, წმინდა კვინტის ჩათვლით, ნეიტრალურია). მოდალურ აზროვნებაში მხოლოდ ყოვლის სანყისი წმინდა უნისონი და მისი ორი აკუსტიკური განმტკიცება – წმინდა ოქტავა და კვინტაა სტაბილური. რომ განვიხილოთ ინტერვალური იერარქია, უნისონი ყოველთვის წარმოდგენილია ან საკუთრივ მელოდიაში, ან ბურდონის სახით, იქნება ის ხმით ნამღერი, თუ ინსტრუმენტზე შესრულებული. ქართულ მრავალხმობაში ინტერვალების იერარქიული სისტემა აღწევს დახვეწილობის ისეთ დონეს, რასაც შეიძლება გაუთანაბრდეს მხოლოდ ძველი დასავლური ორგანოში. მესამე გაფრთხილება: ნუ შესწირავთ მსხვერპლად თქვენს ინტერვალურ იერარქიას ტონალობის კეთილხმოვანებას.

4. ფრაზის სანყისი ტონი წარმოდგენილია, როგორც ერთგვარად სამეტყველო ბგერა, რომელიც გადაიზრდება სასიმღერო ტონში. ასეთი ჟესტის არსებობა გამონეულა მომღერლის სურვილით, შეიგრძნოს ხმოვანება ტონის გაჟღერებამდე. იგი ხელს უწყობს მას შთაგონების წყაროს გამომსახველობის გაცნობიერებაში. ბგერა შეიძლება გახმოვანდეს ძალიან სწრაფად, ან ნელა, პორტამენტოს მსგავსი ფორმით. ეს ხერხი თან სდევს ცხვირით ბუნებრივი შესუნთქვის პროცესს და დამახასიათებელია მთელი მოდალური ტრადიციისათვის. სასიმღერო ტრადიციის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია სხეულის რეზონანსი და ცვალებადი სამეტყველო ინტონაცია. დასავლურ ტონალურ მუსიკაში ასეთი მიდგომა აკრძალულია, მაგრამ არ მჯერა, რომ ქართული მუსიკის რომელიმე ჭეშმარიტი შემსრულებელი შეიძლება ამის გარეშე იოლად გასვლას. მეოთხე გაფრთხილება: იყოს ეს ორგანული კავშირი განმსაზღვრელი შენთვის და შენი მუსიკისთვის. ნუ გაანაზებ შენს მუსიკას და ხმას მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცას (ან იქნებ შენც) უნდა იყოს ის ლამაზი და მელოდიური. მიეცი ტონს საშუალება დაიბადოს შენი არსობის სიღრმიდან. ის მოდის, რადგან მას აქვს შეტყობინება, შენ კი არა.

5. მოდალური მელოდიები წარმოიქმნება მცირე, ადვილად საცნობი ინტერვალური ბირთვების, ან, დასავლური გალობის ტერმინოლოგიით, ნევმური მოდელებისაგან. ისინი აძლიერებენ დაძაბულობას ერთი დაკლამაციური ტონის გარშემო, ან აგრძელებენ ტონების მოძრაობას, რითაც განსაზღვრავენ ცალკეულ მოდალურ გზებს. ინტერვალური ბირთვების საშუალებით მელოდია ორგანულად ფართოვდება შინაგანად. ამ ბირთვების და, ასევე, კილოების ხასიათი და ფუნქცია განისაზღვრება არა მარტო ინტერვალების თანმიმდევრობით, არამედ, მათი შესრულების მანერითაც: პორტამენტოს სხვადასხვა სახე, დინამიკის წუთიერი ცვალებადობა და მკაფიო ორნამენტული მოდელები, თუ განსაზღვრულ სიმაღლეზე სწრაფი, ან ნელი ვიბრაცია. ყოველივე ეს ქართული მუსიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მოუქნელი ვიბრატო, მუდმივად

ცვალებადი ხასიათის – აი, სულ ესაა, რაც დარჩა ტონალურ მუსიკაში მოდალური/ვოკალური ტექნიკის ოდესღაც მდიდარი საგანძურიდან. ქართული მუსიკის გარკვეულ სახეს ახასიათებს გაფართოებადი და შეკუმშვადი მელოდიური ბირთვები, სხვა სახეები მკაფიოდ დიატონურია, მაგრამ არა ტონალური. მეხუთე გაფართოება: ნუ წაართმევ მუსიკას მის მოდალურ ბუნებას იმის დაშვებით, რომ იჟღეროს ისე, როგორც წერია ნოტებში. შეინარჩუნე შენი მუსიკის სხეული. ნუ მისცემ ნებას ტონალურ ვიბრატოს წაგართვას მოდალობის განცდა და ვოკალის მოქნილობა.

6. დასავლური ტონალური მუსიკის საპირისპიროდ, სადაც სიტყვები მოძრაობენ ხმოვნიდან ხმოვანზე, მოდალურ მუსიკაში ეს მოძრაობა ხორციელდება თანხმოვნებზე. ამის გამო, მოდალური მუსიკა ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს სამეტყველო ინტონაციასთან. ხმოვნების ტემბრი მკაფიო და ცხვირისმიერია, იგი შეუმჩნევლად ერწყმის მომდევნო თანხმოვანს, ან ხმოვანს. აგრეთვე თანხმოვნები, მიუხედავად მათი სიმკვეთრისა, არასოდეს წყდებიან პირს (რასაც ხშირად აქვს ადგილი ტონალურ მუსიკაში). ისინი ინარჩუნებენ ორგანულ კავშირს ხმოვნებთან. თანხმოვანი შეიძლება იყოს რბილი და მოქნილი, თითქმის მიუახლოვდეს ნახევარხმოვანს. ყრუ ბგერებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება მჟღერ თანხმოვნებს, ასევე, ცხვირისმიერი თანხმოვნები უპირატესია ყველა დანარჩენზე. ფიზიკურად ის წარმოიქმნება ენის ზედა მოქნილი ნაწილის ორიენტაციით ზედა ყბასა და კბილებზე. მოდალურმა მუსიკამ შეიძლება წარმოდგენა შეგვიქმნას ენის ხასიათზე. ქართული მუსიკა, ამ მხრივ, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არაა, მაგრამ ყოველივე ამას ადგილი არა აქვს ტონალურ მუსიკაში. მეექვსე გაფართოება: ნუ შესწირავთ მსხვერპლად თქვენი კულტურის ჭეშმარიტ ფასეულობებს, თქვენს ენას „ვოკალის“ სილამაზეს.

7. საერთოდ, აქცენტის გაკეთება თანხმოვანზე, ან ხმოვანზე, რაც გამოიწვევს ჟღერადობის შეწყვეტას, ან დამახინჯებას, არასწორია. აქცენტი კეთდება სიმაღლეზე, ან გრძლიობაზე. ნებისმიერ ენაში რიტმული დაჯგუფება, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება მეტყველების თავისთავად და განუმეორებელ რიტმებს. „თავისუფალი“ რიტმიკის კონცეფცია არ არის გაცნობიერებული – ხან მკაფიო, ხან კი გაურკვეველი პულსაცია მართავს მთელ მოძრაობას. ამ თვალსაზრისით, მეტრი და ტაქტი ერთიანდება, არ ხდება ხელოვნური დანაწევრება, როგორც ტონალურ მუსიკაში, არამედ, ზოგჯერ ძნელია ტაქტებად დაყოფა. ქართულ მუსიკაში შემსრულებელი ხშირად ბევრად უკეთ ერკვევა განსხვავებულად დატვირთულ რიტმში, ვიდრე ხელოვნურად თავს მოხვეულ მეტრში. მეშვიდე გაფართოება: ნუ გარდაქმნი შენს რიტმულ სტრუქტურებს დასავლურ კვადრატულ მეტრულ ბლოკებად.

8. ყველგანმყოფი და პულსირებადი ბურდონის იდეა დაკავშირებულია იმასთან, რომ ჰაერის ბუნებრივი შესუნთქვა ჯერ კიდევ ხმოვან (მოგუგუნე) ბგერას უზრუნველყოფს გარემომცველი სივრცის მდიდარი აკუსტიკური თვისებებით. ეს თითქოსდა „წრიული“ (ან „სპირალური“) სუნთქვა უშუალოდ უკავშირდება უწყვეტი ხმოვანების განცდის დაუცხრომელ სურვილს. სწორედ ამიტომ, მოდალური მუსიკის ყველა შემსრულებელს, როგორც ჩანს, გააჩნია ჰაერის უღვევი მარაგი: ხმოვანება/ბგერა – ესაა ჰაერის ბუნებრივი ჩასუნთვის მეყვსეული გამოძახილი. „სული“ შემოდის ცხვირიდან და მასთან ერთად შემოდის ჩვეულებრივი ჰაერი.. მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება სრული განზავება, სული, ანუ ჰაერი გამოდის პირიდან და საბოლოოდ მთლიანად ტოვებს სხეულს. ყველა მისტიკური ტრადიციის ნაწილი არის რწმენა იმისა, რომ წმინდა ჰაერი კვლავ მიეახლება იმ სულიერ სამყაროს, საიდანაც გამოვიდა. დასავლეთის

ტონალურმა მუსიკამ დიდი ხანია დაკარგა სუნთქვის მისტიური ძალის რწმენა და ბუნებრივი სუნთქვის უნარი. ეს რა თქმა უნდა, არ შეხებია ქართულ მუსიკას. გაფრთხილება მერვე: არ დაივიწყო, რატომ მღერი.

9. მოდალური მუსიკა არსებითად იმპროვიზაციულია. მთელი რეპერტუარი დასწავლილია მეხსიერებით. მუსიკოსის პოზიცია ვლინდება სწორი გზის ხელახალ ძიებაში. ყოველი შესრულება განსხვავებულია, ვინაიდან განსხვავებულია სიგნალების ხმოვანი ქსოვილი. ქართული პოლიფონია ამის ნათელი მაგალითია: თითოეული ხმა და მელოდიური ხაზი დამოკიდებულია ფუნქციებისა და ურთიერთობების მუდმივად ცვალებად ფორმებზე და ამიტომ განუწყვეტილად უნდა რეაგირებდეს მათზე. მოდალურ შესრულებაში, ცხვირ-ხახისმიერი ხმოვანების წარმომქმნელი ბირთვი მომღერალს აძლევს საშუალებას შეიგრძნოს და შეეცვალოს მოახდინოს რეაგირება თანამომღერლის ხმოვანებაზე. ასეთი ტექნიკური საშუალება არ გამოიყენება დასავლეთის ტონალურ მუსიკაში, მას არც სჭირდება ეს, ვინაიდან, ძირითადად არაიმპროვიზაციულია. ნაწილობრივ ამ მიზეზითაც, მუსიკოსი ხდება ტემპის, დინამიკის, ფრაზირების, ემოციის, ენისაც კი – გარეშე ინტერპრეტატორი. საბოლოო გაფრთხილება: ნუ გახდები გარეშე ინტერპრეტატორი, ნუ დაკარგავ კავშირს შემოქმედთან, სწორედ ამაში მდგომარეობს შენი უდიდესი ნიჭი – როგორც მუსიკოსი, შენ ხარ საკუთარი კულტურის სულის მატარებელი. ნურასდროს დაშორდები შენს სულს, ნუ გადააკეთებ შენს მუსიკას.

10. მეათე პრინციპი უკვე ცხადია. მოდალური მუსიკა „თვითონ შექმენი“ მუსიკაა. როგორც კი მომღერლები და/ან ინსტრუმენტალისტები შექმნიან დიდი გუნდს ან ორკესტრს, რომელიც საჭიროებს გარედან ჩარევას - დირიჟორობას, აუცილებელი ხდება ერთიანობის შენარჩუნება და ერთიანი ინტერპრეტაციის უზრუნველყოფა. ამის შედეგია ზუსტი სინქრონიზაცია, ინტონაციის სრულყოფა, და „შთამბეჭდავი“ სპექტაკლი, მაგრამ ეს აღარ არის ცოცხალი მოდალური მუსიკა. და როგორც კი რომელიმე კულტურა „ქირაობს“ სხვებს თავისი მუსიკის სამღერად ვინაიდან თვითონ აღარ სურს მისი შესრულება, მისი ზედაშე ცარიელია.

შენიშვნები

¹ ზედაშე – სპეციალური სალაგი; საკრალური დანიშნულების საცავი ან ადგილი (ქიზიყი, კახეთი – რედ.)

² ამ კონტექსტში საინტერესოა აღინიშნოს ლინგვისტური კავშირი სუნთქვასა და სულს შორის. შედარებისათვის მოგვყავს სანსკრიტიდან სიტყვა *atman* რომელიც ნიშნავს “სუნთქვას, საკუთარ თავს, სულს, უნივერსალურ მე-ს, უმაღლეს სულს”, და მისი შესატყვისები: გერმანულში - *Atem*, პოლანდიურში - *adem / asem* და ფრანგულში - *ame*.